შეუთანხმებლად...

დონის როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 12 აპრილი.

ასკ (როსტოვი) – “დინამო” (თბილისი) – 2:1 (1:1).

ასკ: კუდასოვი, სეროსანოვი, გეტმანოვი, მირონოვი, აბრამოვი, ტრემბაჩი, კუჩინსკასი, ესკოვი, პროსკურინი, ზინჩენკო, ფეტისოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩიკაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:0.

ზედმეტია ლაპარაკი იმ დიდ ინტერესზე, რომელიც როსტოვში გამოიწვია მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერების – თბილისის დინამოელების ჩამოსვლამ. ყველა ელოდა თბილისელთა ძლიერ, ოსტატურ თამაშს და გამარჯვებასაც მათ უწინასწარმეტყველებდნენ.

ლიდერმა მართლაც დამაჯერებლად დაიწყო თამაში. რამდენიმე სწრაფი, ეფექტური იერიშის შემდეგ როსტოველთა კარი აღებულ იქნა, ეს მოხდა უკვე მე-9 წუთზე. მეტრეველმა და ძმებმა ნოდიებმა ტემპში გაითამაშეს ბურთი, კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა გ. ნოდიამ – 1:0.

თბილისელთა შტურმი გრძელდებოდა დაახლოებით 30 წუთს. მათ ზედიზედ შეძლეს საგოლე მომენტების შექმნა, რომლებიც ვერ გამოიყენეს ვერც თავდამსხმელებმა, ვერც იერიშზე გადასულმა ნახევარმცველებმა. არმიელებს უჭირდათ კარის დაცვა. რამდენიმე რეიდი განახორციელეს ხურცილავამ და ძოძუაშვილმა, მეორე გოლი კი არ ჩანდა.

და აი, 37-ე წუთზე. როსტოველებმა საპასუხო იერიში წამოიწყეს. “დინამოს” მცველებმა სწორად ვერ შეარჩიეს პოზიცია, უმეთვალყუროდ დატოვეს ფეტისოვი და მანაც ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში როსტოველები კვლავ შეტევაზე გადავიდნენ, შემდეგ კი მდგომარეობა გათანაბრდა – თბილისელებს უკვე აღარ ჰქონდათ ადრინდელი უპირატესობა. მაინც, ერთ-ერთ მომენტში ასათიანი მარჯვნიდან გავიდა გარღვევაზე, მოატყუა რამდენიმე მცველი და ზედ კარის წინ მიაწოდა ბურთი პარტნიორებს. ეს იყო საუკეთესო მომენტი, ბურთს თბილისელთაგან ვინმე რომ დახვედროდა ადგილზე.

77-ე წუთზე ესკოვმა სტუმრების კართან მოაწოდა კუთხური ბურთი, სადაც ღია პოზიციაში აღმოჩნდა პროსკურინი. ურუშაძე კარიდან არ გამოვიდა, თუმცა იგი ვალდებული იყო ადრევე მოეგერიებინა ბურთი. პროსკურინმა კარგად ითამაშა და თავით გაიტანა მეორე გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი არმიელთა სასარგებლოდ. “დინამოს” შეეძლო თავი დაეღწია წაგებისთვის, მაგრამ კუდასოვთან ერთი-ერთზე გასულმა ასათიანმა პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი მეკარეს.

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 14 აპრილი, 1970 წ.